

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

შოი ზურაბის ძე აბრახამია

ქართული პროფესიული a cappella საგუნდო მუსიკა XX

საუკუნეში

(ისტორიულ-კულტურული კონტექსტი და განვითარების ტენდენციები)

მუსიკოლოგიის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

MUS 0215.1.16 მუსიკოლოგია

თბილისი, 2025 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

რუსუდან წურწუმია
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი

ექსპერტები:

თამარ წულუკიძე
მუსიკოლოგიის დოქტორი

სვიმონ ჯანგულაშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

დისერტაციის დაცვა შედგება 2025 წლის 20 ივნისს, პარასკევს, 11 საათზე


თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე N4

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. N8/10, I სართული, ბიბლიოთეკის სამკითხველო, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.tsc.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ეკა ჭაბაშვილი
სამუსიკო ხელოვნების დოქტორი
ასოც. პროფესორი



შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება მე-20 საუკუნის ქართულ პროფესიულ a cappella საგუნდო მუსიკას, მისი საუკუნოვანი განვითარების ტენდენციებისა და ეტაპების ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში ანალიზს. ამდენად, კვლევის საგანს წარმოადგენს ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკა, ხოლო კვლევის ობიექტია ქართველ კომპოზიტორთა a cappella საგუნდო შემოქმედება. შესაბამისად, მისი შესწავლა მოიცავს ფართო სპექტრს და გულისხმობს სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა შემოქმედების, საგუნდო კოლექტივებისა და საშემსრულებლო პრობლემების ფართო ანალიზს; იმ მრავალი ჟანრული სიახლის აღნიშვნას, რაც ქართულ პროფესიულ მუსიკაში სწორედ a cappella საგუნდო მუსიკას უკავშირდება.

აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია მეოცე საუკუნის ქართული პროფესიული a cappella საგუნდო მუსიკის შესწავლა და მასზე მონოგრაფიული ნაშრომის შექმნა - ჟანრის განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და ზოგად ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში.

მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ამოცანები შემდეგია:

1. ქართული a cappella მუსიკის განვითარების ისტორიის ზოგადი მიმოხილვა. კერძოდ, მასში გამოვლენილი ეროვნული და ევროპული ტრადიციების ანალიზი;
2. ჟანრის პერიოდიზაცია და განვითარების ეტაპების განხილვა;
3. a cappella საგუნდო მუსიკის სპეციფიკური სტაბილური ჟანრულ-სტილური ნიშნების გამოვლენა;
4. ახალი ქართული პროფესიული საგუნდო შემსრულებლობის პრობლემების ანალიზი;
5. სულხანიშვილის, ფალიაშვილისა და კეჭაყმაძის შემოქმედების ფართო ანალიზი, რადგანაც:
 - ა) სულხანიშვილი ქართული კლასიკური a cappella საგუნდო მუსიკის ფუძემდებელია;
 - ბ) ფალიაშვილი სულხანიშვილის გვერდით, ასევე, ახალი ქართული პროფესიული მუსიკის სათავეებთან დგას;

გ) ახალი ქართული პროფესიული a cappella საგუნდო მუსიკის განვითარების ახალი ეტაპი კეჭაყმაძის სახელს უკავშირდება, რომელიც, ამასთანავე, სულხანიშვილისა და ფალიაშვილის ტრადიციების გამგრძელებელია.

აქტუალობა და სიახლე:

ნაშრომს **აქტუალურს** ხდის ის გარემოება, რომ ქართულ მუსიკოლოგიაში არ არსებობს, ზოგადად, საგუნდო მუსიკისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული შრომა, რომელშიც ეროვნული მუსიკის მნიშვნელოვანი ჟანრი - a cappella საგუნდო მუსიკა განხილული იქნება ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში; კვლევის აქტუალობასა და მის აუცილებლობას განაპირობებს ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა პერიოდის მუსიკის განხილვა, მასზე ტოტალიტარული იდეოლოგიის გავლენის ჭრილში, რადგან, ეს თემა, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე დასავლურ მუსიკოლოგიაშიც იწვევს ინტერესს.

ამდენად, დისერტაციაში გამოთქმული მოსაზრებები და საგუნდო, კერძოდ - a cappella მუსიკის საკვანძო საკითხებისადმი მიდგომა სიახლეს წარმოადგენს ქართული მუსიკოლოგიისთვის.

გარდა ამისა, ნაშრომის სამეცნიერო **სიახლეებს** შემდეგი საკითხები წარმოადგენს:

- ქართულ მუსიკოლოგიაში პირველად a cappella საგუნდო მუსიკა განხილულია, როგორც ჟანრული მოვლენა;
- შესწავლილი და დაზუსტებულია მე-19 საუკუნეში ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკის სათავეებთან, მათ შორის, პროფესიული a cappella საგუნდო მუსიკის ჩასახვა-განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები;
- ნიკო სულხანიშვილის შემოქმედება განხილულია დროით-სივრცული კატეგორიების კონტექსტში, რითაც წარმოდგენილია კომპოზიტორის შემოქმედების ახალი, მანამდე შეუსწავლელი წახნაგები; მოცემულია განსხვავებული მოსაზრებები კომპოზიტორის რამდენიმე ოპუსის ფორმასთან და პოლიფონიურ ანალიზთან დაკავშირებით;
- შესაბამისი დასაბუთებით, შემოთავაზებულია ქართული პროფესიული a cappella საგუნდო მუსიკის ისტორიის პერიოდიზაციის ორიგინალური მოდელი;
- a cappella საგუნდო მუსიკისთვის დამახასიათებელი პრინციპებითაა

გაანალიზებული 30-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი საგუნდო ოპუსი - შალვა მშველიძის „ფშაური“;

- a cappella საგუნდო მუსიკაში ბგერითი და ინტონაციური შეზღუდვების დაძლევისკენ გადადგმული ნაბიჯების კონტექსტში პირველადაა გაანალიზებული მაჭავარიანის „დოლური“, ჩიმაკაძის „შევიშრობ ცრემლსა“ და გორდელის „ავთანდილის ლოცვა“;

- ასევე, პირველად, შემოთავაზებულია კეჭაყმაძის შემოქმედების პერიოდიზაცია, მოცემულია კომპოზიტორის სხვადასხვა ეტაპის ზოგადი და, მისი რამდენიმე a cappella გუნდის კომპლექსური მუსიკოლოგიური ანალიზი; განხილულია კომპოზიტორის კინო-სათეატრო და ორიგინალური საეკლესიო მუსიკა;

- საგუნდო შემსრულებლობასთან დაკავშირებული პროცესები და ზოგადი პრობლემები პირველად, აღწერილია ერთიანი, საუკუნოვანი პროცესების კვალდაკვალ.

სამეცნიერო პრობლემის შერჩევა დაეფუძნა:

- ქართული a cappella საგუნდო მუსიკის, როგორც ეროვნული მუსიკალური კატეგორიების სპეციფიკური გამოხატულებისა და მისი განვითარების ტენდენციების შესწავლის აუცილებლობას;

- პირად პროფესიულ და პრაქტიკულ გამოცდილებას.

ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ისტორიულ-კულტურული პროცესების კონტექსტში ახალი საგუნდო, კერძოდ, a cappella პროფესიული მუსიკის განვითარების მონოგრაფიული შესწავლა და ქართული მუსიკის ისტორიის შეუსწავლელი საკითხების განხილვა;

- ნაშრომი შეიცავს წყარომცოდნეობით მასალას ევროპული საგუნდო კულტურის მე-19 საუკუნეში შემოსვლასთან დაკავშირებით;
- ახალი ქართული საგუნდო კულტურის განვითარების მთლიანი სურათის შექმნა;
- ქართველი კომპოზიტორების მიერ სხვადასხვა ეტაპზე შექმნილი a cappella გუნდების მუსიკოლოგიური ანალიზი ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში;
- საგუნდო შემსრულებლობასთან დაკავშირებული პარაგრაფები, ასევე, მეცნიერულ ღირებულებას სძენს დისერტაციას, ვინაიდან ჟანრში გამოვლენილი საშემსრულებლო პრობლემები, ასევე, დღემდე არ გამხდარა ერთიან კონტექსტში შესწავლის საგანი.

პრაქტიკული დანიშნულება:

ნაშრომის პრაქტიკულ დანიშნულებას განსაზღვრავს მასში განხილული საკითხები, რომელიც დააინტერესებს ახალი ქართული პროფესიული მუსიკის, მათ შორის, საგუნდო მუსიკის მკვლევრებს, ამ ჟანრით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და მოყვარულებს გააცნობს არა ერთ, მათთვის ახალ ფაქტსა და მოსაზრებას; ნაშრომი დაეხმარება მკვლევრებსა და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლების საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობის სტუდენტებს მასში განხილულ კომპოზიტორთა შემოქმედების თავისებურებების შესწავლასა და, ზოგადად, ქართული საგუნდო მუსიკის მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების, მისი ისტორიის მნიშვნელოვანი პროცესების კულტურული კონტექსტში გააზრებაში. დისერტაციაში ფართო ხედვით წარმოდგენილი ქართული საგუნდო მუსიკალური კულტურის ისტორიის, შემსრულებლობის, საგუნდო ბგერის, კინო-სათეატრო ხელოვნებაში გამოვლენილი საგუნდო მუსიკისა და სხვა საკითხები კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის შემეცნებით და, შესაბამისად, პრაქტიკულ დანიშნულებას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

აღსანიშნავია, რომ ქართულ მუსიკოლოგიაში *a cappella* საგუნდო მუსიკის შესახებ ვრცელი და საფუძვლიანი ისტორიული და თეორიული კვლევები დღემდე არ შექმნილა, მათ შორის არც ჟანრის კულტურულ-პოლიტიკური კონტექსტი გამხდარა ცალკე კვლევის საგანი. შესაბამისად, დისერტაციაში მოხმობილი მასალები დაჯგუფებულია საკვალიფიკაციო ნაშრომების, მონოგრაფიებისა და პუბლიკაციის მიხედვით, სადაც მოცემულია მათი შინაარსობრივი ანალიზი და თემატური სისტემატიზება.

ცალკეული კომპოზიტორისადმი მიძღვნილ საკვალიფიკაციო შრომებს შორის აღნიშნულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სხვადასხვა პერიოდში დაცული თამარ კვანტალიანის, ფატი ჩანადირის, ნინო ჭიკაძის, მედეა ქავთარაძისა და ზაირა ვადაჭკორიას შრომები, რომლებიც ეძღვნება იოსებ კეჭაყმაძის, სულხან ნასიძის, ოთარ თაქთაქიშვილის კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზს.

მოხმობილი და განხილულია ქეთევან თუმანიშვილის („ნიკო სულხანიშვილი - ქართული საგუნდო მუსიკის დიდოსტატი“. 1999), ნოდარ მამისაშვილის

„სულხანიშვილის მესტირული და გუთნური“. 1975) და ნანა ქავთარაძის („და განანათლა კიდენი სოფლისანი“ ნოდარ მამისაშვილის „საგუნდო პოემა“. 1991); „იოსებ კეჭაყმაძე, ილია ჭავჭავაძის ლექსებზე შექმნილი გუნდების ჭრილში“ (2012) სამეცნიერო პუბლიკაციები - მიძღვნილი ქართული a cappella საგუნდო თხზულებებისადმი.

a cappella საგუნდო მუსიკას ეძღვნება მცირე თავები ცალკეულ მონოგრაფიასა თუ სახელმძღვანელოში. ასეთებია არჩილ მშველიძის („სამუსიკო განათლება საქართველოში“ 1976), ვლადიმერ დონაძის („ქართული მუსიკის ისტორია“ 1990), გივი ორჯონიკიძის („აღმავლობის გზის პრობლემები“ 1978; „თანამედროვე ქართული მუსიკა ესთეტიკისა და სოციოლოგიის შუქზე“ 1985), ანტონ წულუკიძის („შალვა მშველიძე“ 1994.) და რუსუდან წურწუმias („მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა“ 2005) შრომები;

მოხმობილია ძველი, XIX-XX საუკუნის საგაზეთო პუბლიკაციები, რომელთა ანალიზის შედეგად წარმოდგენილია ქართულ მუსიკაში a cappella ჟანრის წანამდგრებისა და მისი ჩასახვის ცხადი სურათი. გარდა ამისა, აღნიშნულია სხვადასხვა ჟურნალში გამოქვეყნებული თემატური პუბლიკაციები, რომლებიც ეკუთვნით მანანა კორძიას, მანანა ახმეტელს, რუსუდან ქუთათელაძეს, ნატო მოისწრაფიშვილს, ნანა ქავთარაძეს, მზია ჯაფარიძეს და სხვ.

დისერტაციის კვლევის რაკურსის გათვალისწინებით საბჭოთა პოლიტიკის გავლენების შესახებ არსებული ლიტერატურაც იქნა მოხმობილი: რუსუდან წურწუმias მონოგრაფიული ნაშრომი - „მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა. თვითმყოფადობა და ღირებულებითი ორიენტაციები“, ასევე, აღნიშნულია ნანა შარიქაძის გამოუქვეყნებელი კვლევა „ქართული პროფესიული მუსიკა ოკუპაციიდან დამოუკიდებლობამდე“, რომელმაც საბოლოოდ მონოგრაფიის სახე 2023 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემულ წიგნში - „An Introduction to Georgian Art Music“ შეიძინა.

იმის მიუხედავად, რომ ნაშრომი მხოლოდ ქართულ პროფესიულ a cappella საგუნდო მუსიკას ეძღვნება, უცხოენოვანი ლიტერატურის გაცნობა გულისხმობდა კვლევის თანამედროვე მეთოდების, აგრეთვე საგუნდო მუსიკის ჟანრული სპეციფიკის შესახებ დასავლურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების გაცნობას. მათ შორის: ლუდმილა ნიკიტინას „Советская музыка. История и современность“ (1991); ვასილი ლუბარსკის „Лекции по зарубежной хоровой литературе (Средневековье и Возрождение)“ (2001-2020); ი. უსოვას სახელმძღვანელო „საგუნდო ლიტერატურა“ (ქართ. თარგმ. გ.

ბოლაშვილი. 1988). ასევე, აღნიშნულია უილიამ სტივენსის სამეცნიერო პუბლიკაცია “Choir Music” (2019); როლანდ გერტნერის „Geschichte des Chorgesang“ (2019); ერიხ ვალენტინის „Handbuch der Chormusik“ (1953) და სხვ.

ასევე, უცხოენოვან, ქანრის თეორიასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას ეყრდნობა დისერტაციაში წამოჭრილი მოსაზრებები a cappella საგუნდო მუსიკის ქანრულ-სტილური საკითხის კვლევის შესახებ, სადაც გამოყენებულია ძირითადად საბჭოთა მეცნიერთა - ასაფიევის, სოხორის, მაზელის, ცუკერმანის, არანოვსკისა და სხვათა კვლევები.

ქართული კანტატა-ორატორიებისადმი მიძღვნილი ორჯონიკიძის, ხვთისიაშვილის, ჭოლოშვილისა და წურწუმიას მოსაზრებები მხოლოდ კონკრეტული პრობლემების თუ ნაწარმოებების განხილვისას დისერტაციის მესამე თავშია მოცემული.

კვლევის მეთოდები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კვლევა დაემყარა შემდეგ მეთოდებს:

1. კომპლექსური;

ზოგადი ეპოქალური ტენდენციების, შემსრულებლობასთან დაკავშირებული პრობლემების, სიტყვისა და მუსიკის ურთიერთდამოკიდებულების, a cappella მუსიკის სხვა დარგებთან ასიმილაციის, ქანრთან დაკავშირებული ინოვაციური პროცესების ანალიზი;

2. კომპარატიული;

შესწავლილი და შედარებულია ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო წერის სპეციფიკა, თავისებურებები და სტილი.

3. ისტორიული;

ქრონოლოგიურადაა განხილული ქანრზე დროისა და ისტორიული პროცესების ზეგავლენა.

4. თვისობრივი;

ძველი თემატური ბეჭდური მედიის შინაარსობრივი შესწავლა-დამუშავება.

5. კონტენტ-ანალიზი;

სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი.

6. ანალიტიკური.

მუსიკალური მასალის ანალიზი, მსჯელობა მე-20 საუკუნის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური კონტექსტისა და საგუნდო მუსიკალური კულტურის ზოგადი პრობლემების შესახებ და სხვ.

გარდა ამისა, კვლევა ემყარება ინდუქციურ და დედუქციურ მიდგომებს. მათგან ინდუქციური მიდგომით დადგენილია ტოტალიტარული რეჟიმის კვალი საგუნდო მუსიკაზე. ხოლო დედუქციური მიდგომის შედეგად ქრონოტოპების მუსიკაში გამოვლენის შესახებ არსებულ ჰიპოთეზებზე დაყრდნობით, სულხანიშვილის საგუნდო ოპუსებში გამოვლენილია მხატვრული დროით-სივრცული მეთოდები.

თავი I

ახალი ქართული პროფესიული a cappella საგუნდო მუსიკის სათავეებთან

პრემბულაში - „ქართული a cappella საგუნდო მუსიკის პერიოდიზაცია“, ჟანრის პერიოდიზაციის მოდელი და განვითარების ეტაპებია წარმოდგენილი:

I. a cappella საგუნდო მუსიკის I ეტაპად განხილულია 1900-იანიდან 1920-იან წლებამდე ნიკო სულხანიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებული პროფესიული ქართული საგუნდო მუსიკის კლასიკური პერიოდი.

II. 1920-60-იანი წლები - ქართული საგუნდო მუსიკის ვრცელი და რთული მეორე ეტაპია, რომელიც რუსული ოკუპაციის პერიოდს უკავშირდება. შესაბამისად, ის მოიცავს გარკვეულ ეტაპებს: სტაგნაციისა და გარდამავალი პერიოდი.

III. მესამე ეტაპი ჟანრის აღმავლობის ხანაა და 1970-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე პერიოდს მოიცავს, რაც, ძირითადად, იოსებ კეჭაყმაძის ნოვატორულ და მისი თანამედროვეების საგუნდო შემოქმედებას უკავშირდება;

IV. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებს შეიძლება ვუწოდოთ ახალი ეტაპი, ვინაიდან შეინიშნება სტილური ძვრები. ამ პერიოდში 70-80-იანელთა თაობის კომპოზიტორებს შეემატათ ახალი - 90-იანელთა თაობა, რომელთაც თამამი ექსპერიმენტები პირველად სწორედ საგუნდო მუსიკას დაუკავშირეს.

დისერტაციის პირველი თავი შედგება ორი პარაგრაფისაგან. პირველ პარაგრაფი ეძღვნება „a cappella საგუნდო მუსიკის ჟანრულ-სტილური კვლევის საკითხს“. აღნიშნულია, რომ a cappella საგუნდო მუსიკა ეკლესიის წიაღში გუნდურ

შემსრულებლობასთან ერთად წარმოიშვა. პარაგრაფში შეჯერებულია ენციკლოპედიებში აღნიშნული ტერმინის - „a cappella“ განმარტებები, რომელმაც საუკუნეების მანძილზე არაერთი მნიშვნელობა შეიძინა და საბოლოოდ უთანხლებო სიმღერას დაუკავშირდა. ენციკლოპედიებში ის სტილად მოიხსენიება. სხვადასხვა წყაროს მოხმობით განმარტებულია სტილის რაობა (გამოხატვის მანერა, ან გამომსახველ საშუალებათა სისტემა), რის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ a cappella არ არის საგუნდო მუსიკის სტილი; შესაძლებელი გახდა საუბარი a cappella საგუნდო მუსიკის ჟანრულ სტილზე, რადგან მისი გამომსახველობითი კომპლექსის გამორჩეული ნიშანი თანხლების არქონაა.

ასევე, ჟანრის შესახებ კვლევებიდან მოხმობილია ფიშერის, სოხორის, დოლჟანსკის, ცუკერმანის, არანოვსკისა და სხვა მეცნიერთა შრომები. ჟანრის თეორიისა და a cappella საგუნდო მუსიკის შესახებ არსებულმა მოსაზრებებმა წარმოშვა საფუძველი, a cappella საგუნდო მუსიკა განხილულიყო, როგორც რთული ჟანრული კატეგორია, შესაბამისი ქვეჟანრებით. ჩამოთვლილ მეცნიერთა მიერ ჟანრის დაჯგუფებების საფუძველზე მოხდა a cappella გუნდების ცალკე კლასიფიკაცია და ის მიეკუთვნა **რთულ**, ან **მრავალშრიანი ჟანრის** (არანოვსკი) ნაირსახეობას, რომელიც შედგება მარტივი, ან პირველადი ჟანრებისაგან. იერარქიულ კიბეზე საგუნდო მუსიკის ჟანრები ვოკალური მუსიკის ქვეჟანრადაა განხილული. ხოლო საგუნდო მუსიკა, როგორც შედგენილი ჟანრი, ასევე, იყოფა საგუნდო-ინსტრუმენტულ და a cappella ქვეჟანრებად. „აკაპელურობა“ ანუ ჟღერადობის თვისება დასახელდა მის მთავარ მსაზღვრელ ჟანრულ სტილად და გამოიყო ის კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც გამოარჩევს მხოლოდ a cappella საგუნდო ჟანრს: 1) საშემსრულებლო სპეციფიკის ორიგინალობა; 2) სპეციფიკური საკომპოზიტორო ტექნიკის ფლობის ოსტატობა და მისი თავისებურებები; 3) ტემბრული და აკუსტიკური მახასიათებლები; 4) განსხვავებული სადირიჟორო შესტიკულაცია.

მეორე პარაგრაფი „ახალი ქართული პროფესიული a cappella საგუნდო მუსიკის ისტორიული წანამძღვრები“ მოიცავს მრავალფეროვან ინფორმაციას, მათ შორის, აქამდე მეცნიერულ შრომებში გამოუქვეყნებელ მასალებს. მასში განხილულია ეკლესიის როლი პროფესიული საგუნდო შემსრულებლობის ტრადიციის ჩამოყალიბებაში. ახალმა ქართულმა საკომპოზიტორო მუსიკამ დასავლური საგუნდო შემსრულებლობისთვის

ისეთ სპეციფიკურ მოვლენას, როგორცაა ოთხხმიანობა და შერეული საგუნდო შემადგენლობა, სტილურ საფუძვლად შუა საუკუნეების ქართული ტრადიციული სამხმიანობა და მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური ინტონაციურ-ჰარმონიული ენა დაუდო. ქართული მუსიკის ევროპულ სტილში გაოთხხმიანების პროცესი მე-19 საუკუნეში დაიწყო. რუსულ ანექსიას მოჰყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეროვნული საეკლესიო ხელოვნებისა და ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ნეგატიური პროცესების კვალდაკვალ თანდათან გავრცელდა ევროპული ტიპის მუსიკალური ტრადიციებიც - რუსი ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვის მიერ 1817 წელს პირად მსახურებაზე რუსული გალობის შესასრულებლად შერეული გუნდის ჩამოყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ქართული საეკლესიო გალობის აკრძალვის პარალელურად მიმდინარეობდა, რუსანოვის შერეული გუნდის სახით ქართულ სინამდვილეში პირველი ევროპული ტიპის საგუნდო კოლექტივი გამოჩნდა.

საგაზეთო პუბლიკაციებში მიკვლეულმა და ამ დრომდე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოუქვეყნებელმა მასალებმა დისერტაცია ახალი და საინტერესო ინფორმაციით გაამდიდრა. ლოტბარ ანდრია მრევლიშვილის მიერ 1860-იან წლებში ქუთაისის პირველდაწყებით სკოლაში ჩამოყალიბდა პირველი შერეული ბავშვთა გუნდი, რომელიც რუსი კომპოზიტორების (ბორტნიანსკი, ტურჩანინოვი) მრავალხმიან საეკლესიო მუსიკასა და ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა; მრევლიშვილი, ასევე, პირველია, ვინც მე-19 საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე გადატანა. სამხმიანი გალობის ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე გადატანასთან და მის გაოთხხმიანებასთან ქართული ეროვნული საგუნდო მუსიკის ევროპეიზაცია-პროფესიონალიზაციის პირველი ცდებია დაკავშირებული. ეს პარტიტურები დღეს დაკარგულია, თუმცა ისინი პირველი ქართული კლასიკური *a cappella* საგუნდო ნაწარმოებების წანამძღვრებად მოგვევლინა.

ახალი ქართული პროფესიული საგუნდო ხელოვნების სათავეებთან, ასევე, წარმოდგენილია იოსებ მონადირიშვილი - მხოლოდ ქართველი მომღერლებისაგან დაკომპლექტებული პირველი „ქართული ხოროს“ - ევროპული ტიპის შერეული გუნდის დამფუძნებელი და ქართული ოთხხმიანი საგალობლებისა და ევროპული საგუნდო მუსიკის პროპაგანდისტი (1893 წლიდან).

დისერტაციაში, ასევე, ხაზგასმულია ხარლამპი სავანელის, როგორც პროფესიული გუნდის ვოკალის პედაგოგის მნიშვნელობა, როგორც ქართულ საგუნდო შემსრულებლობაში ზოგადევროპული ბგერისა და საშემსრულებლო მანერის პირველ და რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ერთადერთი სპეციალისტისა.

ამავე პარაგრაფში აღნიშნულია საგუნდო-საკონცერტო ცხოვრებისა და საგუნდო კოლექტივების დაარსების დიდი ტალღის მნიშვნელობა, რაც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბებული მოყვარულთა და პროფესიული გუნდებით დაიწყო: „საქართველოს ფილარმონიული საზოგადოების გუნდი“ (1908), „ქართველ ქალ-ვაჟთა გუნდი“ (1918), „კაპელა“ (1919), „სახელმწიფო აკადემიური გუნდი“ (1921) და სხვ.

თავი II

ქართული პროფესიული a cappella საგუნდო მუსიკის განვითარების პირველი ეტაპი - კლასიკური პერიოდი

დისერტაციის მეორე თავი შედგება სამი პარაგრაფისაგან და ის ეთმობა ნიკო სულხანიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის საგუნდო შემოქმედების ფართო ანალიზს. **პირველ პარაგრაფში** - „ნიკო სულხანიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი პროფესიული საგუნდო მუსიკის სათავეებთან“ საუბარია ამ კომპოზიტორთა ადრეული პერიოდის საზოგადოებრივი საქმიანობის, საკონცერტო მოღვაწეობისა და საკომპოზიტორო მიღწეების შესახებ.

ფალიაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ქართული ხალხური სიმღერების შერეული გუნდისთვის ინსტრუმენტული თანხლებით გადამუშავება მე-19 - მე-20 საუკუნის მიჯნაზე, ხოლო საეკლესიო მუსიკის ევროპულ ყაიდაზე გამრავალხმიანება ახალი საუკუნის პირველ ათწლეულში დაიწყო და მის სცენაზე გასატანად აკადემიური გუნდიც ჩამოაყალიბა. ხაზგასმულია ამ გუნდის მნიშვნელობა და აღნიშნულია მისი დამსახურება ქართულ საგუნდო-საკონცერტო სარბიელზე.

ამავე კონტექსტშია დახასიათებული ნიკო სულხანიშვილიც. კომპოზიტორული უნარების გამოვლენისთანავე სულხანიშვილმა მკაფიოდ ჩამოიყალიბა ორიენტირი a cappella ვოკალური მრავალხმიანობის ფარგლებში. ძველ საგაზეთო პუბლიკაციებზე დაყრდნობით დადასტურებულია ფაქტები, რომ სულხანიშვილმა საკომპოზიტორო

საქმიანობა არა მე-20 საუკუნის 10-იან წლებში, არამედ მე-19 საუკუნის მიწურულს დაიწყო; დასახელებულია მისი ორიგინალური, დაკარგული a cappella გუნდები; აღნიშნულია მისივე ოპერა „პატარა კახის“ ფრაგმენტების პირველი შესრულების თარიღი - 1897 წ. და, ამასთან მოყვანილია აკაკი წერეთლისა და დიმიტრი არაყიშვილის შეფასებები სულხანიშვილის ოპერისა და ორიგინალური a cappella გუნდების შესახებ.

სულხანიშვილისა და ფალიაშვილის პირველი პერიოდის საგუნდო ნაწარმოებების ზოგადი დახასიათების პარალელურად აღნიშნულია მათი ხელწერის განმასხვავებელი პრინციპები და საერთო ამოცანები.

მეორე პარაგრაფში - „ეროვნული ტრადიციული a cappella საგუნდო პრინციპების გარდასახვა ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში“ სათითაოდაა განხილული კომპოზიტორის დღემდე შემორჩენილი საგუნდო ოპუსები: „მესტვირული“, „სამშობლო ხევსურისა“, „გუთნური“, „მაშ გამარჯვება“, „ტურფავ, მოდი“, „დიდება ივერს“ და „ღმერთო, ღმერთო“. გამოვლენილია მათი სტილურ-ენობრივი კავშირები საქართველოს სხვადასხვა კუთხის სასიმღერო ფოლკლორთან; დაკონკრეტებულია ნაწარმოებების ვერბალურ საფუძველთან დაკავშირებული აქამდე დაუზუსტებელი საკითხები; გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები პოლიფონიურ, თუ ზოგადად, ნაწარმოებების ფორმებთან დაკავშირებით (მაგ: ფუგეტას არსებობა - „სამშობლო ხევსურისაში“); გამოთქმულია კრიტიკული მოსაზრება მის ზოგიერთ გუნდთან დაკავშირებული დღემდე საშემსრულებლო ტრადიციასა, თუ კომპოზიტორის მემკვიდრეობის ბოლო გამოცემებში დარჩენილი საბჭოთა ცენზურის კვალის („ღმერთო, ღმერთო“, „გუთნური“) შესახებ. აღნიშნულია ისეთი მნიშვნელოვანი სტილური კომპონენტები, რასაც შემდგომ განვითარება მომდევნო თაობის კომპოზიტორებში მოჰყვა. მათ შორისაა წარმოდგენის თეატრის ელემენტები, ხმოვანების სივრცულ-აკუსტიკური გააზრებები, ტრადიციულ ფოლკლორში ლატენტურად გამოვლენილი დროით-სივრცული კატეგორიების აღმოსავლური, ზოგადევროპული და ქართული მითოლოგიური ტიპები და სხვ. სულხანიშვილმა გამოკვეთა ეროვნული a cappella საგუნდო სტილი, რითაც განისაზღვრა ძირითადი პარამეტრები, თუ როგორ განვითარდებოდა საგუნდო მუსიკა, საშემსრულებლო პრაქტიკა. სულხანიშვილის საგუნდო ნაწარმოებებში ყველაზე მკაფიოდაა შენარჩუნებული ხალხურობის ატმოსფერო, რამაც ბუნებრივად განსაზღვრა ქართული აკადემიური საგუნდო

სიმღერის მანერის ეროვნულ სასიმღერო სტილთან და საშემსრულებლო ტრადიციასთან კავშირი.

მესამე პარაგრაფი - „ეროვნული ტრადიციული a cappella საგუნდო პრინციპების გარდასახვა ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში“ ეთმობა ფალიაშვილის „8 სახალხო სიმღერის“, „ლიტურგიისა“ და რამდენიმე საოპერო გუნდის ანალიზს, სადაც წარმოდგენილია ქართული ტრადიციული საერო და საეკლესიო მუსიკისთვის დამახასიათებელი პრინციპების ორიგინალური გააზრების შედეგები. მართალია, მისი შემოქმედების ძირითადი ჟანრი ოპერა და არა ორიგინალური a cappella საგუნდო მუსიკაა, თუმცა ფალიაშვილის „ლიტურგია“, როგორც ევროპული ტიპის საეკლესიო საგალობელთა ლიტურგიკული ციკლი, ჟანრის პირველ და, ამასთანავე, სრულყოფილ საგუნდო პარტიტურას წარმოადგენს. რაც შეეხება თანხლებიან გუნდებს, ოპერებისთვის დამახასიათებელი საგუნდო სცენების სიუხვე და ორიგინალური საგუნდო სტილის საფუძვლები მის მიერვე ორკესტრისა და შერეული გუნდისთვის დამუშავებული „8 სახალხო სიმღერის“ კრებულში გამოვლინდა, ხოლო ფართო განვითარება შემდგომ მის საოპერო გუნდებში ჰპოვა.

ფალიაშვილის საგუნდო პარტიტურების ანალიზი ცხადყოფს კომპოზიტორის ხელწერის ორ მთავარ მეთოდს: ქართული ტრადიციული საგუნდო შემსრულებლობის უძირითადესი პრინციპის - სამხმიანობის შენარჩუნება და მისი შერეული გუნდისთვის დუბლირება; მეორე მეთოდი გუნდის ცენტრალურ ხმებს (ტენორი და ალტი) შორის ტრადიციული სიმღერის მეორე ხმის რეგისტრული ლავირებისა და მასთან საერთო ჰარმონიაში კონსონანსურ ურთიერთობაში მყოფი დამატებითი ბგერების წარმოქმნაშია ასახული. აღნიშნულია, რომ ეს პრინციპები და მისი მუსიკალური ენის სხვა, ზოგადი გავლენები განსაკუთრებით იოსებ კეჭაყმაძის სტილის ფორმირებასა და ქართული საგუნდო ციკლების შემდგომ განვითარებაზე აისახა.

რაც შეეხება საოპერო გუნდებში გამოვლენილ პრინციპებს, ხაზგასმულია, რომ ფალიაშვილისთვის დამახასიათებელი საგუნდო პარტიტურის ორკესტრში დუბლირება არ არის ევროპულ საოპერო პრაქტიკაში გავრცელებული მოდელი. ეს ფაქტიც ტრადიციული საგუნდო აზროვნების პრინციპების გამოვლენაა, რითაც კომპოზიტორი a cappella გუნდის უპირატესობას ინარჩუნებს. როგორც „ლიტურგიის“ პარტიტურის ანალიზი ადასტურებს, ოპერის ფაქტურის ტიპები სწორედ მასში შემუშავდა და

„აბესალომ და ეთერის“ საგუნდო სცენებში ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ქართული საგალობელი იქცა ფალიაშვილის საოპერო მუსიკის ენისა და ჰარმონიის უშრეტ წყაროდ.

შედარებითმა ანალიზმა ცხადყო სულხანიშვილისა და ფალიაშვილის საგუნდო პარტიტურებში ვერტიკალური ქსოვილის აგების პრინციპების ძირითადი სხვაობები და ზოგადი საერთო თავისებურებები.

თავი III

ქართული საგუნდო მუსიკა ოკუპაციიდან - „დათბობამდე“ (1921-60-იანი წ.წ.)

მესამე თავის პირველი პარაგრაფი წარმოდგენილი პერიოდის მიხედვით მეორე ეტაპს - 1921-1940-იანი წლების ჟანრის ისტორიისა და მასთან დაკავშირებული რთული პროცესების განხილვას ეთმობა და ის მოხსენიებულია, როგორც სტაგნაციის ეტაპი. ბოლშევიკური იდეოლოგიის ამ აგრესიულ პერიოდში განსაკუთრებით დაზარალდა სიტყვიერი ხელოვნება. საგუნდო მუსიკაში პოეტური ტექსტების ინტერპრეტაციების შედეგად შექმნილი მემკვიდრეობა მუსიკალურ „მაკულატურად“ იქცა.

გამოყოფილია ჟანრის განვითარების შეწყვეტის რამდენიმე მიზეზი:

1. ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამ შეცვალა ტრადიციასთან დამოკიდებულება და ახალი პროფესიული მუსიკის ძირითადი გეზიც. შეიზღუდა შემოქმედებითი თავისუფლება და ძიებების პროცესი;
2. საგუნდო მუსიკის განვითარების მთავარ შემაფერხებელ მიზეზად სიტყვასთან დამოკიდებულებაც იქცა. სიტყვიერი ტექსტით განპირობებული კონკრეტული კომპოზიტორებს იძულებულს ხდიდა მხოლოდ განსაზღვრული, სოციალისტური შინაარსის მქონე ნიმუშებისთვის მიემართათ;
3. შეიზღუდა მუსიკალური ენაც. სულხანიშვილისა და ფალიაშვილის მუსიკალური ენის მასაზრდოებელი ერთ-ერთი შრე - ტრადიციული საეკლესიო საგალობელი, როგორც რელიგიური შინაარსის მატარებელი, საერთოდ აიკრძალა;
4. საგუნდო მუსიკის განვითარების შეფერხების ერთ-ერთ მიზეზად, ასევე, a cappella საგუნდო ჟანრის კლასიკოსის, სულხანიშვილის გარდაცვალებაცაა დასახელებული (1919 წ.).

5. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოღვაწეობას იწყებს ახალი ინტერესების მქონე კომპოზიტორთა ახალგაზრდა თაობა, რომელთა ყურადღების ცენტრში ევროპული მუსიკის ინსტრუმენტული ჟანრები მოექცა. თუმცა, ცხადია, მათ შემოქმედებაზე 30-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი გავლენა იდეოლოგიის დაკვეთამაც იქონია.

ამდენად, ამ და სხვა მიზეზთა გამო, ახალმა ქართულმა საგუნდო მუსიკამ თავისი ორიგინალობა დაკარგა. *a cappella* საგუნდო მუსიკაში ვერ შენარჩუნდა ის გამოცდილება, სადაც ყველაზე ცხადად ირეკლებოდა ერის გენეტიკური მუსიკალური ტრადიციები, არსობრივი კავშირები ჟანრულ წყაროებთან, ფორმებთან და, განსაკუთრებით, ინტონირების საშემსრულებლო-გამომსახველობით საშუალებებთან. მუსიკის შინაარსის შეცვლით სტიმული მიეცა თანხლებიანი მასობრივი სიმღერების შექმნას. ვინაიდან 1920-იანი წლების ბოლოდან ის აღმოჩნდა ყველაზე დამახასიათებელი და სარეპერტუარო მუსიკალური ჟანრი, დისერტაციაში ზოგადად არის მიმოხილული მისი ცალკეული ნიმუში ფოცხვერაშვილის, ჩხიკვაძის, ტუსკიასა და სხვათა შემოქმედებიდან; ფალიაშვილისა და ბალანჩივაძის 1920-იანი წლების და, მათთან ერთად, მომდევნო თაობის კომპოზიტორთა კანტატა-ორატორიები. შესაბამისად, სწორედ მასობრივ სიმღერებსა და სოციალისტურ კანტატა-ორატორიებს ეძღვნება პირველი პარაგრაფის მეორე ქვეთავი.

ამავე პარაგრაფის **მესამე ქვეთავი** ეთმობა შალვა მშველიძის „ფშაურის“ ვრცელ ანალიზს, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ის არ შექმნილა, როგორც *a cappella* გუნდი, ქართული საბჭოთა მასობრივი სიმღერის ჟანრის აქტიურ პერიოდში - 30-40-იან წლებში შექმნილ ნაწარმოებებს შორის ის ამ ჟანრისაგან სტილურად განსხვავებული გუნდია, რომელმაც დროს გაუძლო. 80-იანი წლებში კი კაპელის მიერ დამკვიდრდა მისი *a cappella* შესრულების ტრადიცია. სტრუქტურულად „ფშაური“ მართლაც წარმოადგენს *a cappella* გუნდს, რაც კომპოზიტორისავე ჩანაფიქრიცაა, ამდენად ვრცლადაა განხილული მისი პოემურობის, საფორტეპიანო თანხლების ფორმალურობის საკითხი; საგუნდო ფაქტურის აკაპელური სტრუქტურა, ფოლკლორული საფუძვლები და პირველწყაროები, ლიტერატურულ ტექსტზე საბჭოთა ცენზურის კვალი და სხვ.

პირველი პარაგრაფის მეოთხე ქვეთავი 1921-1947 წლების „საგუნდო შემსრულებლობის პრობლემებს“ ეძღვნება. საგუნდო მუსიკასთან დაკავშირებული ისტორიული პროცესების სრული სურათის წარმოსადგენად დისერტაციაში საგუნდო შემსრულებლობასთან დაკავშირებული მოვლენების ასახვა დიდ მნიშვნელობას იძენს. შემსრულებლობასთან დაკავშირებული პრობლემები კი ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების იმ დამოკიდებულების შედეგია, რომლის თანახმადაც ამოცანა არა ხარისხი, არამედ რაოდენობა და მასშტაბები იყო. წინამდებარე თავში ჩამოთვლილია სახელმწიფო სტატუსის მქონე საგუნდო კოლექტივების დაარსება-რეორგანიზაცია-გაუქმების ფაქტები; ამ გუნდების წარუმატებლობის დადასტურებული, თუ სავარაუდო მიზეზები; ასევე, საგუნდო შემსრულებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალების და შეფასებითი პუბლიკაციების არარსებობა. როგორც კვლევებმა დაადასტურეს, ქართულ აკადემიურ გუნდებში, ძირითადად, მღეროდნენ თბილისში მცხოვრები უცხოენოვანი - სომეხი, რუსი, უკრაინელი მომღერლები; ამასთან, რესურსი მდიდრდებოდა ეთნოგრაფიულ გუნდებში დასაქმებული ქართველი მომღერლებით. მოცემულობებზე დაყრდნობით გამოთქმულია ვარაუდი, რომ იმ პერიოდის აკადემიურ გუნდებში არ იდგა ეროვნული აკადემიური ბგერის იდეალის შექმნის აუცილებლობა. პროფესიონალ მომღერალთა ნაკლებობისა და სპეციალური განათლებით დირიჟორების სიმცირის გვერდით, მოკრძალებული რეპერტუარის არსებობაც ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო ქართული საგუნდო შემსრულებლობის ასეთივე წარუმატებლობისა.

ასევე, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად დასმულია ქვეყნის მთავარი საგუნდო კოლექტივის - სახელმწიფო კაპელის დაარსების დღემდე დაუზუსტებელი თარიღი. შეჯერებულია ყველა არსებული მოსაზრება გუნდის 1919, 1921, 1935 და 1947 წლებთან დაკავშირებული შექმნა-გარდაქმნა-რეორგანიზაციასთან დაკავშირებული მასალები, მათ შორის დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში მიკვლეული სხვადასხვა დოკუმენტი და გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო კაპელა არის 1921 წელს დაარსებული „აკადემიური სახელმწიფო გუნდის“ მემკვიდრე, რომელიც 1935 წელს პირველად გადაკეთდა „სახელმწიფო კაპელად“, ხოლო მისი რეორგანიზაცია განხორციელდა 1947 წელს.

მესამე თავის მეორე პარაგრაფში აღწერილია „ქართული საგუნდო მუსიკის განვითარების გარდამავალი ეტაპი: 1950-60-იანი წ.წ.“, სადაც საუბარია სამამულო ომის შედეგების ასახვის თავისებურებებზე სამუსიკო, კერძოდ, საგუნდო ხელოვნებაზე. ომში გამარჯვების სიხარულმა საგუნდო ჟანრებში (კანტატა, ორატორია, სიმღერა) კომპოზიტორებს 30-იანი წლების პროლეტარული გულუბრყვილო ლირიკისაგან უკვე თავი დააღწევინა. ხელოვნებისთვის დაიწყო ახალ მოცემულობასთან ადაპტაციის ეტაპი. 1940-50-იან წლებში პარტიისა და ბელადებისადმი მიძღვნილი სახოტბო საგუნდო ნაწარმოებებს შეემატა საზეიმო ხასიათის კანტატა-ორატორიები, რამაც საერთოდ უგულვებელყო *a cappella* საგუნდო, ესე ვთქვათ, სიხარულის გადმოსაცემად „არასაკმარისი“ მუსიკა. სწორედ რეპერტუარის გათვალისწინებით ყურადღება კვლავაც გამახვილებულია სახელმწიფო კაპელაზე, დირიჟორების ინტენსიური ცვლის საკითხზე და თითოეული მათგანის მიერ მიღწეული შედეგების აღწერაზე: 1952 წლიდან 1960-იანი წლების ჩათვლით აღნიშნული და შეფასებულია ყველა მთავარი დირიჟორის - ოთარ თაქთაქიშვილის (1952-56) გიორგი ხახანაშვილი (1956), ჯანსუღ კახიძის (1956-62). იან დუმინის (1957-67) კაპელაში მოღვაწეობის პერიოდი. განსაკუთრებით ხაზგასმულია კახიძე-დუმინის ტანდემი, რომელსაც უფროსი თაობის მომღერლები *a cappella* მუსიკის საკონცერტო შესრულების სიუხვითა და წარმატებებით ახასიათებდნენ.

რაც შეეხება 50-60-იანი წლების საგუნდო რეპერტუარს, ამ პერიოდის *a cappella* გუნდებს შორის დისერტაციაში ანალიზისთვის შერჩეულია სამი ნაწარმოები, როგორც, ერთი მხრივ, სულხანიშვილის ტრადიციებთან ბმაში მყოფი და, ამასთანავე, ჟანრში სიახლის მომასწავებელი. მათ შორის არის მაჭავარიანის „დოლური“ - საგუნდო მუსიკაში ახალი ტემბრული ეფექტების გამოყენების პირველი ნიმუში; სიტყვასთან ახლებური დამოკიდებულებისა და სიტყვის ფონემის გადააზრების პირველი მაგალითი. არსებული საგუნდო რეპერტუარისაგან სრულიად განსხვავებული „დოლურის“ რიტმულ-ინტონაციური და მუსიკალური ენა უკვე ჟანრში მოსალოდნელ ძირეულ ცვლილებებსა და 30-40-იან წლებში დამკვიდრებული სტილური ერთგვაროვნებიდან გასვლას მოასწავებდა.

მომდევნო განსახილველ ნაწარმოებად შერჩეულია გორდელის „ავთანდილის ლოცვა“, რომელშიც პარალელურად აისახა ქართული საგუნდო მუსიკის ტრადიციაც

და იდეოლოგიური გავლენის კვალი, რუსთაველის პოემის მიმართებით და ლოცვითი შინაარსის გადმოცემის მცდელობით სულხანიშვილის გზა გაგრძელდა ქართულ საგუნდო a cappella მუსიკაში. „ავთანდილის ლოცვა“ აღსანიშნავია იმ თვალსაზრისითაც, რომ a cappella მუსიკაში, ზოგადად, ქართული მუსიკალური კულტურისათვის ამ პერიოდში დამახასიათებელმა ტენდენციამ ფორმის, ინტონაციური მასალისა და სტილის ინდივიდუალიზებამ - თავი ამ ჟანრშიც იჩინა.

საგუნდო მუსიკაში ინტონაციური განახლების ნიშნები კი იმ პერიოდში ყველაზე მკაფიოდ ჩიმაკაძემ გამოკვეთა ბარათაშვილის მიხედვით შექმნილ პოემურ a cappella გუნდში - „შევიშრობ ცრემლსა“. პოეტური საწყისის შერჩევით გამოწვეული განახლების პროცესი შემთხვევითი არ იყო, რადგანაც თავად ბარათაშვილის რომანტიკული ნაკადით ქართულ პოეზიაში გადაიდგა აღმოსავლური პოეზიისაგან თავის დაღწევის ნაბიჯები და დაიწყო ევროპეიზმის დამკვიდრება ეროვნულ მწერლობაში. ჩიმაკაძემ საგუნდო ხმოვანებაში მიაგნო ბარათაშვილის რომანტიკული ლირიკის შესატყვის სასიმღერო სტილს - რომანტიკული საწყისის ახალ საგუნდო-ინტონაციურ საფუძველს. ამ შემთხვევაშიც გარკვეული კავშირები დადგენილია სულხანიშვილის გუნდებთან და, ამასთანავე, ეს საგუნდო პიესა ხასიათდება ინტონაციური სიახლეებით.

50-60-იანი წლების a cappella საგუნდო რეპერტუარის მატება დაუკავშირდა თაქთაქიშვილის, ლალიძის, მილორავას, ქარუხნიშვილის, დავიდოვის და სხვათა გუნდებს. ამდენად, ამავე პარაგრაფში გარკვეული ადგილი მათი შემოქმედების ზოგადი სტილის დახასიათებას ეთმობა.

პარაგრაფი სრულდება სახელმწიფო კაპელაში ახალი დირიჟორის - გურამ ბაქრაძის მოღვაწეობის პერიოდის დახასიათებით, სადაც აღნიშნულია, როგორც მიღწეული გარკვეული წარმატებები, ისევე, აკადემიური ბგერის მხატვრული ხარისხის პრობლემა რაც, როგორც ირკვევა, გამოწვეული იყო გუნდის მომღერლების კვალიფიციური მომზადების პრობლემის მოუგვარებლობით.

თავი IV

„ქართული a cappella საგუნდო მუსიკის აღმავლობის ხანა (1970-90-იანი წლები)“ წარმოადგენს დისერტაციის მეოთხე, ყველაზე ვრცელ თავს. მისი პირველი პარაგრაფი ეძღვნება იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედების ფართო მიმოხილვას. დასაწყისში აღწერილია

60-იანი წლებიდან ქართულ პროფესიულ მუსიკაში მიმდინარე ზოგადი ძვრები, რაც მუსიკის ენობრივ, სტილურ და შინაარსობრივ განახლებას უკავშირდება; აღნიშნულია ამ პროცესების ასახვის თავისებურებები საგუნდო მუსიკაზე, რაც გულისხმობს ბგერათწარმოებისადმი ახალ დამოკიდებულებას, ტემბრის გადააზრებას.

ეს პროცესები ქართულ საგუნდო მუსიკაში 70-იან წლებში ერთბაშად დაიწყო, რის გამოც, დისერტაციაში 1970-90-იანი წლები *a cappella* საგუნდო ჟანრის რენესანსის პერიოდადაა მოხსენიებული. ჟანრის დაწინაურება კი უპირველესად იოსებ კეჭაყმაძის სახელს უკავშირდება, რომელმაც სულხანიშვილის შემდეგ ის კვლავაც აქტუალური გახადა და განვითარების ახალ საფეხურზე ეროვნული მუსიკალური აზროვნებისა და მეოცე საუკუნის დასავლური საკომპოზიტორო მიღწევების ორიგინალური სინთეზით აიყვანა.

კეჭაყმაძემ იმ პერიოდის ქართველ კომპოზიტორთა შორის ყველაზე მჭიდროდ შეინარჩუნა კავშირი ეროვნულ საგუნდო კულტურასთან, მაგრამ, ამასთან, თავად ფოლკლორი, როგორც მასალა გადაიაზრა და გადაწყვიტა თანამედროვე ევროპული მუსიკის ნოვაციური პროცესების ეროვნულ ინტონაციურ საფუძვლებსა, თუ ფაქტურულ სახეებზე მორგება. ყურადღება გაამახვილა ბგერის ემანსიპაციაზე ორიენტირებულ ხერხებზე; მის პარტიტურებში გამოვლინდა ტემბრულ-აკუსტიკური მიგნებები, სონორული ჟღერადობა, ფრაგმენტულად ალეატორიკის ნიშნებიც. ჟღერადობის ინტენსივობამ და ჰარმონიის გართულებამ ტემბრული სპექტრიც გააფართოვა. კომპოზიტორმა ევროპული მიღწევები ნაწარმოების აგების პრინციპებისთვის გამოიყენა, ხოლო ბგერასა და საგუნდო ხმოვანებაში მიაგნო ეროვნულ ეკვივალენტს. სწორედ მისმა გუნდებმა ქართულ შემსრულებლობაში ბგერისადმი ახლებური დამოკიდებულება განაპირობეს. კეჭაყმაძისეულმა რეფორმამ შედეგად „ახალი ქართული ორიგინალური ბგერის“ წარმოქმნა მოიტანა.

სიახლეების კონტექსტში გაანალიზებულია ციკლები: „ფშაური იდილიები“ და „5 პარაფრაზა ძველი თბილისის მელოდიები“; ცალკეული გუნდები: „ეგზერსისი N1“ და „თბილისური კაპრიჩიო“. „ფშაური იდილიებით“ კომპოზიტორმა საგუნდო მუსიკაში კვლავ დააბრუნა მთის ინტონაციები და ის ფაქტურული სახეების მრავალფეროვნებით, სონორული პლასტებითა და ახალი ტემბრული ეფექტებით გაამდიდრა. გადაიაზრა სიტყვა და მისი ობერტონული სამყარო, რაც დამოკიდებულების მრავალფეროვნებაში

გამოვლინდა. ვოკალური ეფექტებით მდიდარი და მრავალფეროვანი ფაქტურა, ერთი მხრივ, ორიგინალურად ქარგავს მთის პეიზაჟს, თუმცა, ამასთან, ციკლში ვლინდება ფილოსოფიური კონცეფცია, სადაც მთავარი იდეა ინდივიდის - ქალის შინაგანი ბუნების გადმოცემა, მისი განცდები და გარესამყაროსთან დამოკიდებულებაა.

ასეთივე ცნობილი და რეზონანსული a cappella საგუნდო ციკლი აღმოჩნდა ამავე პერიოდში შექმნილი ხუთი პარაფრაზა „ძველი თბილისის მელოდიები“, სადაც საქმე გვაქვს აღმოსავლური ცალფა მელოდიების პერეფრაზირების შედეგად მიღებულ მასშტაბურ მრავალხმიან საგუნდო პარტიტურასთან. მასში ტრადიციული მასალა ახლებურ ტემბრულ და ფაქტურულ გადაწყვეტაშია მოცემული, სადაც სხვადასხვა ბგერწერული ხერხითა და სონორულ-ტემბრული ეფექტებით ქალაქურმა ფოლკლორულმა პრიმატმა ახალი, თანამედროვე სუნთქვა შეიძინა. მართალია, კომპოზიტორი ციკლის შექმნისთვის მზა მასალებს დაეყრდნო, თუმცა ამოცანა არა ამ მასალებისთვის ორიგინალური პრინციპის მორგება, არამედ პირიქით - ციტირებული ცალფა მელოდიების გააზრებული მუსიკალური ფორმისა და შინაარსის კომპოზიტორული პრინციპისთვის მისადაგებაა. ეს არის ისეთი კონტრასტული კომპონენტების კომპლექსში გამოვლენა, როგორიცაა მრავალხმიანობა, პოლიფონიურ-იმიტაციური ფაქტურული სახეები, ტემბრულ-რეგისტრული განვითარების ხერხები, თანამედროვე გამომსახველი ეფექტები და საშუალებები, მათ შორის, მხატვრულ დროზე ზემოქმედების ნიშნები, გროტესკი და იუმორი. ერთი სიტყვით, აღმოსავლური ტიპის თემების ევროპული საკომპოზიტორო პრინციპებით განვითარება.

ტემბრულ-ფაქტურული მრავალფეროვნებით გამორჩეული პარტიტურაა კეჭყამაძის „ეგზერსისი N1“, რომელიც სონორული პოლიფონიის პირველ a cappella ნიმუშს წარმოადგენს ქართულ მუსიკაში. ნაწარმოები ექსპერიმენტულად, შესრულების პარალელურად იქმნებოდა და, ამასთან იხვეწებოდა, როგორც სპექტაკლის („შუშანიკის წამება“) მუსიკა. ალექსანდრიკა ნაწარმოებში მეტრისა და ქრონომეტრაჟის პარამეტრებშიც იჩენს თავს. ამდენად, ანალიზის შედეგად მიღებულია ჰიპოთეზა, რომ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ქართულ a cappella საგუნდო მუსიკაში პირველად „ეგზერსისი N1“-ის მაგალითზე გაჩნდა სონორულობისა და ალექსანდრიკის ნიშნები. თუკი ნაწარმოების პირველი ნაწილი ემყარება სონორული ტემბრების მონაცვლეობის პრინციპს, კონკრეტული მხატვრული სახე მეორე ნაწილში იკვეთება, სადაც სონორული

აკორდიკის ფონზე შემოდის მელოდიური საწყისი და ინტონაციურად ეროვნულ ატმოსფეროს ქმნიან. ამგვარად, ბურდონული პოლიფონიის ეპიზოდური ნიშნების მიუხედავად, „ეგზერსისი N1“ სონორული პოლიფონიის ნიმუშს წარმოადგენს, სადაც სახეზეა ჰარმონიული და ტემბრული კვაზიპოლიფონია.

პოლიფონიური ხერხების გასაოცარი მრავალფეროვნებით გამორჩეულია ქალთა გუნდი „თბილისური კაპრიჩიო“. ის სოლისტის მიერ ნაწარმოების პირველ - 4 ტაქტში მოცემული მუსიკალური ექსპოზიცია-პროპოსტის „დაჟინებულ“ საგუნდო ოსტინატურ-იმიტაციურ გამეორებებს წარმოადგენს, რომელიც ოსტატურად, ვირტუოზულად ვარირდება და ვითარდება ხმებში. მუსიკა ვერბალური ტექსტის გარეშეა მოცემული, ხოლო მუდმივი განახლება ნაწარმოების ტემბრული განვითარების პრინციპში ვლინდება, სადაც ყოველი ახალი მოტივი, ახალ ხმაშია წარმოდგენილი. უწყვეტი ინტონაციური პროცესში, კონტრასტები მხოლოდ პოლიფონიური ხერხებისა და ფაქტურის ხშირი მონაცვლეობით მიიღწევა.

იმიტაციურობისადმი კეჭყამდის დიდმა ინტერესმა დისერტაციაში გამოიწვია პარალელები, ასევე, რენესანსის დასავლეთ ევროპულ საგუნდო მუსიკასთან. ამ თვალსაზრისით, ქართველ საგუნდო კომპოზიტორებს შორის კეჭყამდის ყველაზე მჭიდრო კავშირი ევროპული ქორალური მუსიკის ადრეულ ტრადიციებთან, სწორედ იმიტაციის როლის, როგორც გამომსახველი და ფორმაქმნადი საშუალებისა და განვითარების ხერხის დომინანტურობაში ვლინდება, რომელიც წარმოადგენს კეჭყამდის შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეულად სტაბილურ სტილურ ნიშანს.

ფართოდ არის გაანალიზებული კეჭყამდის კინო-სათეატრო მუსიკა და ამ ჟანრებში მის მიერ დანერგილი სიახლეები. კეჭყამდე აქაც ერთგული დარჩა a cappella საგუნდო მუსიკისა, რასაც ექსპერიმენტულად პირველად რუსთაველის თეატრში რეჟისორ ნანა ხატისკაცის სპექტაკლში - „შუმანიკის წამება“ იყენებს (1979), ხოლო შემდეგ იდეას ფილმებშიც განავრცობს („ძნელი დასაწყისი“ და „არსენას ლექსი“). კეჭყამდემ თეატრსა და კინოშიც თავისი დამოუკიდებელი ფორმა შესთავაზა რეჟისორებს - სიტყვა, როგორც აკუსტიკური ვერბალური მარცვალი მუსიკალური ფორმისა და მელოდიურ-ჰარმონიულ ბლოკებად ტრანსფორმირების საშუალება, რასაც მუდმივად მიმართავს აკადემიურ მუსიკაში. როგორც კვლევა ადასტურებს, კეჭყამდემ კინო და თეატრი გამიჯნა ორ განსხვავებულ ფსიქოლოგიურ მოვლენად, სადაც

თეატრის მუსიკა დაუკავშირა ფილოსოფიურ საწყისებს, რაც საეკლესიო თემატიკისადმი მიმართვაში - ქორალური ტიპის პარტიტურებში გამოავლინა; კინოხელოვნება კი გაცილებით მიწიერი, კაცობრივი გახდა ეროვნულ მოტივებზე შექმნილი პროფესიული საგუნდო მუსიკალური ერთ. მუსიკის ანალიზმა ცხადყო კომპოზიტორის აკადემიურ მუსიკისა და კინო-თეატრალური ხელოვნების დიდი სიახლოვე, რაც გამოვლინდა ფონემასთან დამოკიდებულებაში, მუსიკის ხედვითობასა და თეატრალური გამომსახველობაში.

დისერტაციაში ხაზგასმულია კომპოზიტორის ორიგინალური საეკლესიო გუნდების ზოგადი სტილის გავლენა მისი შემოქმედების ბოლო პერიოდზე (1990-2013).

აღნიშნულია, რომ კეჭაყმაძის საგალობლებში ტრადიციული სამხმიანობა ქალთა და მამაკაცთა ხმებისთვის დუბლირებულ ვერტიკალში იკვეთება, რაც ზაქარია ფალიაშვილის „ლიტურგიის“ ექსკლუზიური პრინციპია და შემდგომ განევრცო ქართველ კომპოზიტორთა საავტორო საგალობლებში. რაც შეეხება მათი ორიგინალობის საკითხს, აღსანიშნავია, რომ კეჭაყმაძემ ამ სადა ოპუსებში შეიმუშავა საგუნდო პარტიტურის აგების ლოგიკა - ქორალის ტიპის ორიგინალური მუსიკალური სტრუქტურები, რომელთაც შემდგომ განვითარება და ტრანსფორმაცია ჰპოვეს მისსავე საერო გუნდებში. კეჭაყმაძეს ზაქარია ფალიაშვილთან აახლოებს: ტერციული წყობის აკორდები, ხმათა ტერციულ-სექსტური პარალელიზმი, ქართლ-კახური საგალობლებისთვის დამახასიათებელი მოკრძალებული სვლები, სახასიათო ფაქტურულ-ჰარმონიული ნაგებობები, ტრადიციული კადანსები, შერეული გუნდის უნისონური ფინალისისკენ სვლის მეთოდი და სხვ.

კეჭაყმაძის შემოქმედების სტილურ ცვლილებებზე გარკვეული გავლენა ქვეყანაში მომხდარმა სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმაც იქონია. ეს პროცესი, სავარაუდოდ, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან დაიწყო. 90-იანი წლების ქვეყნის შიდა ომები კი მის შემოქმედებაში შემდგომი ცვლილებების იმპულსის მიმცემი აღმოჩნდა. მუსიკალური ენა უფრო გამარტივდა, მან პრაქტიკულად უარი თქვა თანამედროვე ტექნიკურ-გამომსახველ ხერხებზე, შემოქმედების ამოსავალ იდეად სულიერება, მიმტევებლობა და კათარსისი იქცა. ინდივიდის ტკივილიანმა განცდებმა და სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულმა პრობლემამ მისი მუსიკის შინაარსობრივი და მსოფლმხედველობრივი აბსოლუტიზმი განაპირობა. დასახელებულია ის

ნაწარმოებები, სადაც მხატვრული სივრცისა და დროის დომინანტი სიკვდილი გახდა. 90-იანი წლების გუნდებში წინა პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებიდან არაერთმა მუსიკალურმა თემამ სხვადასხვა სახით იჩინა თავი, რის გამოც 90-იანი წლების შემოქმედება ერთგვარი შეჯამებისა და ენობრივ-შინაარსობრივი გამთლიანების პერიოდად წარმოგვიდგება.

დასასრულს კი, კომპოზიტორის შემოქმედების განხილვას აჯამებს მისთვის მუდმივად დამახასიათებელი მხატვრულ და ობიექტურ დროით-სივრცული პარამეტრებთან დაკავშირებული ორიგინალური მიგნებების მიმოხილვა.

მეოთხე თავის მეორე პარაგრაფი - „1970-90-იანი წლების საგუნდო შემსრულებლობა და კომპოზიტორები“ ორ ქვეთავად იყოფა. პირველი ეთმობა ამ პერიოდის საგუნდო შემსრულებლობის წარმატებებს, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში საგუნდო კოლექტივების დაფუძნების ახალ ტალღასთან, რეპერტუარის განახლებასთან თუ ცალკეული გუნდის საერთაშორისო წარმატებებთან: 70-90-იან წლებში მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა, როგორც სახელმწიფო კაპელის განახლებამ და მის სათავეში დირიჟორი გივი მუნჯიშვილის მოსვლამ, ისე ახალი საგუნდო კოლექტივების დაფუძნებამ: 1970 წ. - გორის გოგონათა გუნდი, დირ. შალვა მოსიძე; მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული გუნდი, ს.ხ. კეჭყამაძე, დირიჟორები იური დადიანი და ლია ლომიაშვილი (1970); თელავის ქალთა გუნდის „კახეთის ჰანგები“, დირ. პავლე დემურიშვილი (1973); აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა სოხუმში, დირ. გურამ ყურაშვილი (1979). ვახტანგ ფალიაშვილმა და გივი მუნჯიშვილმა 1975 წელს დააარსეს საგუნდო მუსიკის პირველი რესპუბლიკური ფესტივალი, რომელმაც ტრადიციული ხასიათი მიიღო; 1986 წელს კი გორში დაფუძნდა პირველი საერთაშორისო საგუნდო ფესტივალი, რომლის მასპინძელი გორის ქალთა გუნდი იყო. ფესტივალმა ხელი შეუწყო თანამედროვე ქართული და ევროპული პროფესიული საგუნდო მუსიკის ურთიერთგაცნობის პროცესებს და საქართველო გახდა საერთაშორისო საზოგადოების „ევროპა კანტატას“ წევრი.

ასევე, აღნიშნულია სახელმწიფო კაპელის ახალი დირიჟორების გივი მუნჯიშვილისა და ბორის პევზნერის მოღვაწეობის შესახებ. მუნჯიშვილის სახელს კაპელის ისტორიაში დაუკავშირდა რეპერტუარის სრული განახლება, ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაზე დიდი აქცენტი, განსაკუთრებით კეჭყამაძის შერეული

გუნდების აქტიური საერთაშორისო პროპაგანდა და საშემსრულებლო ხარისხის მკვეთრი ამაღლება, რაც, სამწუხაროდ კაპელაში დიდ ხანს არ შენარჩუნებულა. ასევე, მოკლედ არის აღწერილი რუსი დირიჟორის - პევზნერის ხელმძღვანელობის ორწლიანი პერიოდი, რომელიც აღინიშნა ევროპული ყაიდის აკადემიურ ბგერაზე ინტენსიური სამუშაოებით.

ამ პარაგრაფში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა შალვა მოსიძის ხელმძღვანელობით გორის ქალთა კამერული გუნდის ბგერისადმი ნოვატორული მიდგომებისა და საშემსრულებლო ოსტატობის დახასიათებას, რის გამოც მას ევროპაში „ბგერის ჯადოქარი“ უწოდეს. მოსიძისეული საგუნდო ბგერის წარმოქმნის პრინციპი, რომლის დამკვიდრებაში კეჭაყმაძის პარტიტურების ინტონაციურმა ბუნებამ დიდი როლი შეასრულა, შეცვალა იმ პერიოდში არსებული წარმოდგენა აკადემიურ ქართულ საგუნდო მანერაზე. ის ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებული გამოთქმის მკაფიოობით, ე.წ. ღია მანერითა და რხევის ექსპრესიული ინტენსივობით წარმოიშვა და უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ეროვნული მუსიკალური ენის ქმნალობაში.

ამავე პარაგრაფის მეორე ქვეთავი კეჭაყმაძის თანამედროვე კომპოზიტორთა ჯემალ ბეგლარიშვილის, გიორგი ჩლაიძისა და რუსუდან ხორავას a cappella საგუნდო შემოქმედებისა და საკომპოზიტორო სტილის მიმოხილვას ეთმობა, ვინაიდან 70-80-იანელთა თაობაში, a cappella საგუნდო ჟანრისადმი ერთგულებით სწორედ აღნიშნული სამეული გამოირჩა. მათგან კეჭაყმაძის პარტიტურებისთვის დამახასიათებელი სტილური ნიშნების განსაკუთრებული გავლენები ყველაზე მკაფიოდ ბეგლარიშვილთან და ჩლაიძესთან განეგრცო და განვითარდა; აქვე, აღნიშნულია, რომ საინტერესო a cappella ნიმუშები ისეთმა კომპოზიტორებმაც შექმნეს, ვისთვისაც ინსტრუმენტულ-სიმფონიური მუსიკა იყო შემოქმედების მთავარი ჟანრი - ნასიძე, სვანიძე, მამისაშვილი, აზარაშვილი, ფარცხალაძე, დავითაშვილი, შილაკაძე, ბაკურაძე, ბარდანაშვილი, ოძელი, შავერზაშვილი და სხვ. მათ გაამდიდრეს თანამედროვე ქართული საგუნდო მუსიკა ახალი ხედვითა და იდეებით, რაც გამოვლინდა ცალკეულ შერეულ, ქალთა და ბავშვთა a cappella საგუნდო მინიატიურებსა, თუ ჟანრულ ციკლებში.

დახასიათებულია ბეგლარიშვილის ზოგადი საგუნდო ესთეტიკა, აღნიშნულია მის შემოქმედებაზე კეჭაყმაძის სტილური გავლენები და, ამასთან, თავად

